

**რეზიდენტურის (დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების)
პროგრამა “ორთოდონტიაზი“**

(ხანგრძლივობა - 22 თვე)

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი განსაზღვრებები

- ორთოდონტია შეისწავლის ბავშვთა მოზარდთა და მოზრდილთა ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების და დეფორმაციების ეტიოლოგიას, პათოგენეზს, დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკას და მკურნალობას.
- ექიმი ორთოდონტი უნდა ფლობდეს: ყბა-კბილთა სისტემის ზრდა განვითარების კონცეფციას; ანომალიების განვითარების ადრეულ და გვიან ეტაპებს; სუნთქვის, ღეჭვის, ყლაპვის, მეტყველების ფიზიოლოგიას, პათოლოგიას და მათ დიაგნოსტიკას; სარძევე, ცვლადი და მუდმივი თანკბილვის დროს ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების განვითარებას; მოზრდილთა ორთოდონტიული მკურნალობის თავისებურებებს; თანდაყოლილი განვითარების მანკების, საფეთქელ ქვედა ყბის სახსრის დაავადებების და ტრაგმების ეტიოლოგიას, კლასიფიკაციას, დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკას და მკურნალობას; ორთოდონტიაში გამოყენებული აპარატების შერჩევას ასაკისა და ჩვენების მიხედვით, მათ ბიომექანიკას; პაროდონტიული მიმღინარე ცვლილებების აპარატული მკურნალობის დროს და ორთოდონტული მკურნალობის აქტიური და რეტენციული პერიოდის თავისებურებებს;
- ორთოდონტული მკურნალობა საჭიროებს კომპლექსურ მიღებას, რომლის დროსაც აუცილებელია ორთოგნათიული ქირურგიის, ოტორინოლარინგოლოგიის, ლოგოპედიის, პედიატრიის, ნევროლოგიის, ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებების და ფსიქოლოგიის მირითადი ასპექტების ცოდნა.
- ექიმ ინდიკატორის საეციალისტად მზადების სარეზიდენტო პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს, არსებულ გაიდლაინებს, რომელიც მოწოდებულია ევროპასა და ამერიკაში.
- რეზიდენტურა ორთოდონტიაში შედგება თეორიული და პრაქტიკული კურსისგან. თეორიული კურსი მოიცავს: ზეპირ გამოკითხვას, ტესტებს, კლინიკური შემთხვევების ანალიზს და პრეზენტაციას. პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა გულისხმობების: პაციენტის კლინიკურ გამოკვლევას, სუნთქვის, ღეჭვის, ყლაპვის და მეტყველების ფუნქციების დიაგნოსტიკას, გამოკვლევის მეთოდების (ფოტომეტრული, ანტროპომეტრული, ბიომეტრიული, რენგდგენოლოგიური) დაგეგმვას და ანალიზს, ანაბეჭდის აღებას, სადიაგნოსტიკო მოდელების დამზადებას, დიაგნოზის დადგენას, ასაკის და ჩვენების მიხედვით ორთოდონტიული აპარატების შერჩევას, მათ მორგებას, კორექციას, რეტენციული პერიოდის განსაზღვრას და რეტენციული აპარატების მორგებას.
- რეზიდენტის სწავლებაში მონაწილეობას იღებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მედიცინის დოქტორი და ექიმი ორთოდონტი 5 წლის სტაჟით. სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს: სხვადასხვა პროფილის მქონე სტომატოლოგიური კლინიკა, რომელსაც

ასევე აქვს სატექნიკო ლაბორატორია, სასწავლო ოთახი, სამუშაო სავარძელი (ერთ სავარძელზე ორი რეზიდენცი), კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტ ქსელი.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანები

- სარეზიდენცო პროგრამა ითვალისწინებს სრული თეორიული კურსის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას მომავალი დამოუკიდებელი კლინიკური საქმიანობისთვის, რაც დიპლომისშემდგომი განათლების მნიშვნელოვანი მახასიათებელია.
- სარეზიდენცო პროგრამის დასრულების შემდეგ ექიმი – სპეციალისტი დამოუკიდებლად მართავს ორთოდონტიულ დაავადებებს.
- სარეზიდენცო პროგრამის დასრულებისას ექიმი ორთოდონტი უნდა ფლობდეს: ყბა-კბილთა სისტემის ზრდა განვითარების კონცეფციას; ანომალიების განვითარების აღრეულ და გვიან ეტაპებს; სუნთქვის, დეჭვის, ყლაპვის, მეტყველების ფიზიოლოგიას, პათოლოგიას და მათ დიაგნოსტიკას; სარძევე, ცვლადი და მუდმივი თანკბილვის დროს ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების განვითარებას; მოზრდილთა ორთოდონტიული მკურნალობის თავისებურებებს; თანდაყოლილი განვითარების მანკების, საფეთქელ ქმედა ყბის სახსრის დაავადებების და ტრაგმების ეტიოლოგიას, კლასიფიკაციას, დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკას და მკურნალობას; ორთოდონტიაში გამოყენებული აპარატების შერჩევას ასაკისა და ჩვენების მიხედვით, მათ ბიომექანიკას; პაროდონტში მიმდინარე ცვლილებების აპარატული მკურნალობის დროს და ორთოდონტული მკურნალობის აქტიური და რეტენციული პერიოდის თავისებურებებს;
- მკურნალობა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომლის დროსაც აუცილებელია ორთოგნათიული ქირურგიის, ოტორინოლარინგოლოგიის, ლოგოპედიის, პედიატრიის, ნევროლოგიის, ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებების და ფსიქოლოგიის მირითადი ასპექტების ცოდნა.
- ექიმ – სპეციალისტის სამუშაო სფერო: ორთოდონტია

თავი II. "ორთოდონტია" საეციალობის აღმოჩენის/სპეციალისადამი

მუხლი 1. სპეციალობისა და სპეციალისტის განსაზღვრება (დეფინიცია);

- ორთოდონტია წარმოადგენს დამოუკიდებელ სტომატოლოგიის სპეციალობას, რომელშიც ისევე, როგორც სხვა სამედიცინო სპეციალობაში აუცილებელია დიპლომის შემდგომი პროფესიული განათლება და უწყვეტი სამედიცინო განვითარება.

- ორთოდონტია მედიცინის ის განხრაა რომელიც ორიენტირებულია ბავშვებში, მოზარდებში და მოზრდილებში ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების და დეფორმაციების ეტიოლოგიაზე, პათოგენეზზე, დიაგნოსტიკაზე, პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე.
- ორთოდონტი სპეციალისტი არის სერტიფიცირებული ექიმი ორთოდონტი რომელიც ორიენტირებულია ბავშვებში, მოზარდებსა და მოზრდილებში ყბა-კბილთა სისტემის ანომალიებისა და დეფორმაციების ეტიოლოგიის, პათოგენეზის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის პრობლემებზე და რომელსაც მიღებული აქვს დიპლომის შემდგომი პროფესიული განათლება (რეზიდენტურა).

ექიმი ორთოდონტის მოვალეობაა ყბა-კბილთა ანომალიებისა და დეფორმაციების დროული გამოვლენა, პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის სრულყოფა.

**მუხლი 2. სპეციალისტის პროფესიული ზოგადი ცოდნა
(ორთოდონტია) ექიმ-სპეციალისტი უნდა ფლობდეს ცოდნას შემდეგი კანონების შესაბამისად:**

- ⇒ საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”
- ⇒ საქართველოს კანონი “საექიმო საქმიანობის შესახაბ”
- ⇒ საქართველოს კანონი “პაციენტის უფლებების შესახებ”
- ⇒ ექიმისა და პაციენტის ურთიერთობების საფუძვლები
- ⇒ ბიოეთიკის თანამედროვე პრინციპები
- ⇒ და ა.შ.

**მუხლი 3. ექიმ-სპეციალისტის ზოგადი უნარ-ჩვევები
(ორთოდონტია) უნდა შეეძლოს**

- ⇒ ექიმ ორთოდონტს უნდა შეეძლოს: ანამნეზის შეკრება, კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის თანამედროვე საშუალებების მონაცემთა კვალიფიციური ინტერპრეტაცია.
- ⇒ ორთოდონტიული ანომალიების და დეფორმაციების მართვა დაავადების ნებისმიერ ეტაპზე და პრევენციული ღონისძიებების ადეკვატური წარმართვა.
- ⇒ პაციენტის პროფილის შესაძლებელი მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრა და ვიზირება შესაბამისი პროფილის ექიმ-სპეციალისტთან დამატებითი დიაგნოსტიკური გამოკვლევისათვის და ორთოდონტიული მკურნალობის შემდგომი დაგეგმვისათვის.
- ⇒ კომუნიკაციის დამყარება პაციენტთან და მათ ახლობლებთან.

მუხლი 4. სპეციალობა მოიცავს ქვემოჩამოთგლილი დაავადებების, პათოლოგიური მდგომარეობების კლინიკას, დიაგნოსტიკას, მძურნალობასა და პროფილაქტიკას:

1. კბილთა ანომალიები - ზომის ანომალია, ფორმის ანომალია, დგომის ანომალია, მაგარი ქსოვილების ანომალია, ამოჭრის ვადების ანომალია.
2. კბილთა რკალის ანომალიები - ფრონტალურ კბილთა რკალის ანომალიები: პროტრუსიო, რეტრუსიო, მჭიდრო დგომა. კბილთა რკალის ანომალიები: დაგრძელება, დამოკლება, შევიწროება, გაფართოება, ექსტრუზია-ინტრუზია.
3. ყბების დეფორმაციები - ზომა, ფორმა, მდებარეობა.
4. ოკლუზიის ანომალიები - დისტალური, მეზიალური, ირიბი, ლრმა და ღია.
5. ყბა-სახის თანდაყოლილი განვითარების მანკები - ზედა ტუჩის სხვადასხვა სახის თანდაყოლილი ნაპრალი, სასის სხვადასხვა სახის თანდაყოლილი ნაპრალი, ზედა ტუჩისა და სახის კომბინირებული თანდაყოლილი ნაპრალი.
6. საფეხურის ქვედა ყბის სახსრის დაავადებები - პირველადად ძვლოვანი და ფუნქციური დაავადებები.
7. ყბების ძვლების ტრავმები - მოტეხილობისა და პოსტ-ოპერაციული დეფორმაციები.

მუხლი 5. იმ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს ექიმ - სპეციალისტს;

- ფოტომეტრიული კვლევის შედეგები;
- ორთოპანთომოგრამის, ცეფალომეტრიის და ტომოგრაფიის ანალიზი;
- ანაბეჭდის აღება, სადიაგნოსტიკო მოდელების დამზადება და ანალიზი;
- სადიაგნოსტიკო მოდელების ანთროპომეტრიული და ბიომეტრიული შესწავლა და ანალიზი;
- პირის ლრუს მიკრობიოლოგიური კვლევის ანალიზი.

მუხლი 6. ექიმ-სპეციალისტის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები (დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციები);

- ორთოდონტიული ანომალიების განვითარების ადრეული და გვიანი ეტაპები

- სუნთქვის, ყლაპვის, დეჭვის, მეტყველების ფუნქციის ფიზიოლოგია, პათოლოგია და მათი დიაგნოსტიკა
- ყბა კბილთა სისტემის ანომალიების კლინიკა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა დროებითი თანკბილვის დროს.
- ყბა კბილთა სისტემის ანომალიების კლინიკა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა ცვლადი თანკბილვის დროს.
- ყბა კბილთა სისტემის ანომალიების კლინიკა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა მუდმივი თანკბილვის დროს.
- მოზრდილთა ორთოდონტიული მკურნალობის თავისებურებები.

მუხლი 7. იმ დაავადებების და პათოლოგიური მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, პირველადი დახმარება და მკურნალობა უნდა შეეძლოს ექიმ-სპეციალისტს.

- ჰიპერტენზიული კრიზი
- ანაფილაქსიური შოკი
- კვინკეს შეშუპება
- კრუნჩხვა
- ბრონქოსპაზმი
- კოლაფსი

თავი III. სწავლების/შეფასების მეთოდები.

მუხლი 1. სწავლების/შეფასების პრინციპები

- თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეფასება თვეში ერთხელ

მუხლი 2. შეფასების მეთოდები

- შეფასება მოხდება მოდულის გავლის პერიოდში გამოვლენილი აქტიურობის გათვალისწინებით. თითოეული მოდულის გავლის შემდეგ თეორიული ცოდნის შეფასება ხორციელდება ტესტ-კითხვარებით, ზეპირი გამოკითხვით, კლინიკური შემთხვევების განხილვით და პრეზენტაციებით. მოდულის გავლის შემდეგ შეფასება მოხდება დღიურში დაფიქსირებული მის მიერ ჩატარებული თეორიული და პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე.

მუხლი 3. შესაფასებელი კომპეტენციები

თეორიული მზადების შეფასება

- ტესტ-კითხვარები
- ზეპირი გამოკითხვა
- სიტუაციური ამოცანები
- პრეზენტაციები

პრაქტიკული საქმიანობა

- კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების დემონსტრაცია და ანალიზი
- პაციენტის დიაგნოსტიკა და პრევენციულ-სამკურნალო დონისძიებების დაგეგმვის სადემონსტრაციო განხილვა

მონაცემთა შეგროვებისა და ფიქსირების საშუალებები

- რეზიდენტის დღიური
- გაცნობილი ლიტერატურული წყაროების ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი და მათი ანოტაციების ზეპირი წარმოდგენა

შესასრულებელი მანიპულაციები

- ფოტომეტრიული კვლევის შედეგები;
- ორთოპანომოგრამის, ცეფალომეტრიის და ტომოგრაფიის ანალიზი;
- ანაბეჭდის აღება, სადიაგნოსტიკო მოდელების დამზადება და ანალიზი;
- სადიაგნოსტიკო მოდელების ანთროპომეტრიული და ბიომეტრიული შესწავლა და ანალიზი;
- პირის დრუს მიკრობიოლოგიური კვლევის ანალიზი.

თავი IV. პროგრამის ხანგრძლივობა.

- პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 22 თვეს
- აქედან ორთოდონტიის პროგრამის ხანგრძლივობაა 20 თვე

თავი V. რეზიდენტურაში პროცესიული მზადების მეთოდური უზრუნველყოფისა და მობანიზაციის წარმატება.

მუხლი 1. რეზიდენტურაში პროფესიული მზადება წარიმართება საქართველოს კანონების - „საექიმო საქმიანობის შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ -შესაბამისად.

მუხლი 2. რეზიდენტურაში პროფესიული მზადება ხორციელდება დიპლომის შემდგომი განათლებისა პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ
აკრედიტებული რეზიდენტურის პროგრამებით საექიმო სპეციალობათა ნუსხის შესაბამისად.

მუხლი 3. რეზიდენტურაში პროფესიული მზადებას სრულად აფინანსებს სახელმწიფო (სტომატოლოგიურ სპეციალობებში დასაშვებია კერძო დაფინანსება), სამინისტროს სპეციალური სახელმწიფო პროგრამის – „დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში. ამავე დროს, არსებობს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება), რომელიც გულისხმობს სარეზიდენტო პროგრამის ყველა მოდულის გავლას ცალკეული მოდულისა და მთლიანად პროგრამის ხანგრძლივობის ზუსტად განსაზღვრის გარეშე და ფინანსდება კერძო პირის მიერ მოძიებული სახსრებით (“რეზიდენტური ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/6 ბრძანების შესაბამისად).

მუხლი 4. რეზიდენტურაში ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით: „ერთიანი დიპლომის შემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და რეზიდენტურაში ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ (№ 295/6; 3.11.2006), ხოლო რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი მზადების წესი: “რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომ განათლებაში (პროფესიული მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა” (№135/6; 8.04.2009).

მუხლი 5. რეზიდენტურის პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო კლინიკებსა და იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთაც მიღებული აქვთ აკრედიტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით („რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/6 ბრძანების შესაბამისად).

მუხლი 6. რეზიდენტურის კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფო მოწმობა.

მუხლი 7. რეზიდენტურის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არიან - რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ლოკალური ხელმძღვანელები, რეზიდენტები, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

მუხლი 8. პროგრამის ხელმძღვანლის მოვალეობები:

1. მისაღები გამოცდის პროგრამის შედგენა და რეზიდენტურაში მიღების პროცესში მონაწილეობა;
2. სპეციალობის აღწერილობის საფუძველზე შედგენილ დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტებული პროგრამის განხორციელებას;
3. სამედიცინო დაწესებულების და ლოკალური ხელმძღვანელის მითითებით რეზიდენტის ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის შედგენა და განსაზღვრა თუ რამდენ რეზიდენტს შეიძლება ზედამხედველობდეს ერთი ლოკალური ხელმძღვანელი.
4. წინასწარ დადგენილი ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით რეზიდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი.
5. დირექტორატის წევრებთან ერთად დადგენილი წესის მიხედვით ყოველწლიურად რეზიდენტის მუშაობის შეფასება და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვისანგარიშის ჩაბარება.
6. ყოველწლიური შეფასების შედეგების გათვალისწინებით რეზიდენტისათვის რეკომენდაციას მიცემა პროგრამის გაგრძელების შესახებ.
7. რეზიდენტის საქმიანობის არადამაკმოყოფილებლი წლიური შეფასებისას, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის დასაბუთებული მოხსენებით ბარათის წარდგენა გარიცხვის შესახებ.
8. რეზიდენტურის კურსის წარმატებული დასრულების შემდეგ რეზიდენტის შემაჯამებელი ატესტაციის ჩატარება და დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს კურსის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობის გაცემის შესახებ რეკომენდაციის მიცემა.
9. ლოკალური ხელმძღვანელების საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება.

მუხლი 9. პროგრამის დირექტორატის წევრების მოვალეობები:

1. რეზიდენტების შერჩევის პროცესში მონაწილეობა;

2. პროგრამ დირექტორთან ერთად ყოველწლიურად რეზიდენტების მუშაობის დადგენილი წესის მიხედვით შეფასება;
3. პროგრამ დირექტორთან ერთად შეიმუშავებენ რეზიდენტის ატესტაციის ფორმატის შემუშავება;
4. რეზიდენტის შემაჯამებელი ატესტაციის პროცესში მონაწილეობა;
5. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანლისათვის რეზიდენტურის პროგრამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა.

მუხლი 10. ლოკალური ხელმძღვანელის მოვალეობები:

1. სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის მუშაობის წარმართვა;
2. რეზიდენტებთან პედაგოგიურ მუშაობისათვის თავისი საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა.
3. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანლისათვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა;
4. რეზიდენტის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.

მუხლი 11. რეზიდენტის უფლება/მოვალეობები:

1. რეზიდენტი შეიძლება გარიცხული იქნას რეზიდენტურიდან ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იდებს პროგრამის ხელმძღვანელი სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირთან შეთანხმებით;
2. რეზიდენტს უფლება აქვს პროგრამის კურიკულუმის დარღვევის ან შეფერხების შესახებ წერილობით აცნობოს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირს;
3. რეზიდენტს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, თანამედროვე ტიპის კლინიკური და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);
4. რეზიდენტი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
5. რეზიდენტი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;
6. რეზიდენტი ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს წარუდგინოს პროგრამის დირექტორს გაწეული მუშაობის ანგარიში და გაიაროს ეტაპობრივი და დამასრულებელი ატესტაცია დადგენილი წესით;
7. რეზიდენტი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების განრიგით განსაზღვრული საქმიანობა.